პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 207 (4717)

1972 წ. 18 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● **მინსკი, 16 ოქტომბერი.** მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სხვადასხვა მდგომარეობიდან სროლაში სსრ კავშირის სამივე ახალი ჩემპიონი არმიელი სპორტსმენია: ა. სიდოროვი — 395 ქულა 400-დან წოლელა, ვ. დანილჩენკოვი — 392 ქულა ჩოქელა და ვ. პარხიმოვიჩი — 373 ქულა დგომელა. გუნდურ ჩათვლაში ოქროს ჯილდოები შეიარაღებული ძალების პირველმა ნაკრებმა მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდში შედიოდნენ პარხიმოვიჩი, ვ. აგიშევი, ვ. კორნევი და დანილჩენკოვი.

● **ბაქო, 16 ოქტომბერი.** დღეს აქ დამთავრებული საერთაშორისო შეჯიბრების პრიზებს საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და უცხოეთში წაიღებენ. როგორც ვიუწყებოდით, მძლეოსანთა ეს შეჯიბრება 26 კომისრის ხსოვნას მიეძღვნა. თბილმა (26 გრადუსი), უქარო ამინდმა მოასპარეზეებს ხუთობის მიწურულისთვის საკმაოდ მაღალი შედეგების მიღწევაში შეუწყო ხელი. ჭოკით ხტომაში მემორიალის რეკორდით (5 8) გაიმარჯვა უკრაინელმა ი. პროხორენკომ. 400 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ა. კარასიოვმა — 50,8 წამი. ეს შედეგი მემორიალის რეკორდიცაა და რესპუბლიკის უმაღლესი მიღწევაც. 215 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა ორ მძლეოსანს დაემორჩილა — უკრაინელ ა. მოროზსა და ბრიანსკელ ვ. კოზლოვს. მათ 5 სანტიმეტრით აამაღლეს მემორიალის რეკორდის ჭერი, რეკორდი კი ოლიმპიურ ჩემპიონს, ლენინგრადელ ი. ტარმაკს ეკუთვნოდა. პრიზიორთა შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე უცხოელი მძლეოსანია. 110 მეტრზე თარჯრბენში კარგი დროით (13,9 წამი) გაიმარჯვა გფრ-ის წარმომადგენელმა ე. ბერკესმა. მისმა თანამემამულე ჰ.-ჰ. გელმანმა ყველაზე სწრაფად გაირბინა 400 მ — 47,7. მემორიალის რეკორდი დაამყარა ბულგარელმა ვასილენა ამზინამ, რომელმაც 800-მეტრიან დისტანციაზე 2.01,6 აჩვენა.

● **იალტა, 16 ოქტომბერი.** სსრ კავშირის პოშაში ქალთა XVI ჩემპიონატს ერთბაშად ორი გამარჯვებული აღმოაჩნდა — შარშანდელი ჩემპიონი ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი) და ნ. მარკიავიჩენე (ვილნიუსი). მათ 11-11 ქულა დააგროვეს 16-დან. III ადგილი დაიკავა მოსკოველმა ლ. აგაფონოვამ — 10 ქულა. ფინალში რვა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შვიდი მოშაშე სხვადასხვა დროს ქვეყნის ჩემპიონი იყო.

● **სიმფეროპოლი, 16 ოქტომბერი.** რუსეთის ფედერაციის მრბოლელებმა ადგილობრივ ველოტრეკზე სსრ კავშირის თასი მოიპოვეს — გუნდურ ჩათვლაში მთავარი მეტოქეები — ლენინგრადისა და უკრაინის წარმომადგენლები ჩამოიტოვეს. შეჯიბრების ბოლო დღეს პარალელურად ქვეყნის ჩემპიონთა ოქროს მედლებიც გათამაშდა. წყვილთა ექსდღიან რბოლაში უმაღლესი ჯილდო უკრაინელთა დუეტს — ა. სტარკოვსა და ი. კუჩერიავის ხვდათ. ასევე იმარჯვეს უკრაინის წარმომადგენლებმა გამოდევნებით ქალთა გუნდურ რბოლაშიც: ამ რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა რ. ობოდოვსკაიამ, ლ. ზადოროჟნაიამ და ლ. გრახოლსკაიამ ყველაზე კარგ დროს მიაღწიეს — 3.55,31. წყვილთა რბოლა საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა. ექვსი დღის განმავლობაში გამართულ თერთმეტ სერიაში (მეთორმეტე სერიის მოწყობა წვიმის გამო არ მოხერხდა) მოასპარეზეებმა 333 კილომეტრი დაფარეს. ვერცხლის მედლები ხვდათ ა. ხრისტინოკსა (მოლდავეთი) და ვ. იუშევს (რსფსრ), ხოლო ბრინჯაოსი — ნ. შილოვსა (უზბეკეთი) და ნ. კრასკოვს (ლენინგრადი). გამოდევნებით გუნდურ რბოლაში მეორე პრიზიორები გახდნენ ი. ცეხანოვიჩი, ნ. იუდაკოვა და ნ. ტროფიმოვა (რსფსრ), ხოლო III ადგილზე გავიდნენ ა. კონკინა, გ. ვიბორნოვა და ლ. სმირნოვა (ლენინგრადი).





ზამთარი შორს აღარ არის: სულ მალე „თეთრი სპორტული სეზონი" დაიწყება. მართალია, ზამთრის ზოგი სახეობის წარმომადგენლები უკვე გამოვიდნენ სარბიელზე: ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს მოეწყო ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე, შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები კანადელ პროფესიონალებს შეხვდა, ახლა კი ქვეყნის ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ მოსკოვის სპარტაკელ ა. იაკუშევს, რომელიც ყინულზე გამოსახვლელად ემზადება. სეზონი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ იაკუშევი უკვე აღიარეს ბევრი მატჩის საუკეთესო ჰოკეისტად. ეს სახელი მან კანადელებთან გამართულ შეხვედრებშიც დაიმსახურა.

ქვედა სურათზე — მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოციგურავე, ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი. მოციგურავეებისთვის ჯერ კიდევ არ არის გახსნილი ნამდვილი დიდი სტადიონები ხელოვნური ყინულით. ამიტომ სტატკევიჩი და საბჭოთა ნაკრების სხვა წევრები ევროპისა და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატებისთვის ძველებურად ემზადებიან — მოასფალტებულ გზაზე გორგოლაჭებიანი ციგურებით ვარჯიშობენ.

ვ. გალაკტიონოვის ტექსტი და ფოტოები.




## ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა

**ვარნა, 16 ოქტომბერი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის წარმატება ევროპულ ჩემპიონატში ეჭვს არ იწვევდა. და მაინც, ლიდერისა და მასპინძლების ბოლო შეხვედრამ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია. ევროპის ჩემპიონმა ბრძოლის ბედი ფაქტიურად შესვენებამდე გადაწყვიტა — 35:22. მეორე ტაიმში მან შეინარჩუნა ინიციატივა და გაიმარჯვა — 79:48.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა რუმინელები დაამარცხა — 54:50 (25:27).

საბოლოოდ პირველი 6 ადგილი ასე განაწილდა: 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. საფრანგეთი, 5. რუმინეთი, 6. უნგრეთი.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ნ. ზახაროვა, უ. სემიონოვა, ნ. ბილმაიერი-ფერიაბნიკოვა, ზ. ჩერნიკოვა-კოზზევა, ლ. კრესტიანიკოვა, რ. კურვიაკოვა, ნ. ნაზემბლო, ტ. კაბანოვა-ოვეჩკინა, ა. იანკუნაიტე, ლ. კუზმინა, ლ. გუხევა, ო. ხუხარნოვა.

## ჩვენ მჭედლები ვართ...

... სულით ახალგაზრდები. ცნობილი სიმღერის ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება ხარკოვის სამგზის ორდენოსანი სატრაქტორო ქარხნის სამჭედლო საამქროს მუშების ცხოვრებას. ამ საამქროში ათასი კაცი მუშაობს და მათგან უმეტესობა სპორტითაა გატაცებული. ეს კოლექტივი ზედიზედ მეშვიდე წელია იმარჯვებს რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებებში.

წვრთნაცა და შეჯიბრებებიც მჭედლებისთვის ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. ლითონის მჭრელ ა. კოშელევს, სპორტის ოსტატს ძიდაობაში, საამქროს ფიზკულტურელთა თავკაცს ხალხის ძებნა არ სჭირდება: დასვენების დღეებში ახალგაზრდებიც, შრომის ვეტერანებიც დიდი გატაცებით მონაწილეობენ ტურისტულ ლაშქრობებში, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, რბენაში, მძლეოსნურ კროსებში. ბევრი რამ კეთდება მშდ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის პროპაგანდისთვის. აქტივისტებმა საქმიანად მოიფიქრეს და დაამუშავეს კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთის** მოყვარულები მიეჩვივნენ ა. მეტრეველის გამარჯვებებს შინ თუ გარეთ. მათ აღარც ის უკვირთ, რომ თავის სახელოვან თანამემამულესთან ერთად გამარჯვების დაფნის გვირგვინს იყოფს თ. კაკულია. ეს ორი სახელი ამ ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გაისმის დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შორის.

ამ დღეებში თბილისის დინამოელთა დუეტმა ლ. მძინარიშვილთან ერთად დიდი წარმატება იზეიმა დუშანბეში დამთავრებულ საკავშირო თასის გათამაშებაში.

სურათზე: თბილისის „დინამოს" ლიდერი ა. მეტრეველი სსრ კავშირის თასით ხელში.

ვ. გინზბურგის ფოტო.



## აჭარის კომკავშირის პრიზზე

ამას წინათ ბათუმში გაიმართა ველოსიპედისტთა ჯგუფური რბოლა აჭარის კომკავშირის პრიზზე. შეჯიბრებაში „განთიადის" (2), „დინამოსა" და ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდები მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, სტარტს თავი აარიდეს სხვა საზოგადოებების კოლექტივებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით გასაკიცხნი „კოლმეურნის" სპორტსმენები არიან, ვინაიდან მათ საკმაოდ ძლიერი სექცია აქვთ.

დისტანცია 40 კილომეტრი იყო. ფინიშთან პირველნი მივიდნენ ს. სადრაძე და ა. ვალუისკი, რომლებმაც ერთნაირი დრო (1:04.80,0) აჩვენეს. 3 წუთისა და 17 წამის მერე ფინიშთან მიიჭრა თ. ქორიძე (ყველა — „განთიადი").

გუნდური პირველობა და თასი „განთიადის" ნაკრებს დარჩა.

მ. კირაკოსიანი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ბათუმი.

## ჩვენი ძოძაძ ჩაძგუძეძიძეძ

შემოდგომის ერთ შაბათს, მაგალითად, საამქროს თითქმის მთელმა კოლექტივმა ავტობუსებით ქალაქგარე ტურისტულ ბაზას მიაშურა, სადაც დაისვენეს კიდეც და ნორმატივებიც ჩააბარეს.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის სპორტკლუბის კოლექტივმა უკრაინაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და გაამართლა კიდეც ეს სახელი: ქვეყნის იმ სპორტული ორგანიზაციების რიცხვში მოხვდა, რომელთაც ახალი კომპლექსის პირველი ოქროს სამკერდე ნიშნები გადაეცათ. ლაურეატთა შორისაა სამჭედლო საამქროს სპორტსმენთა თავკაცი ა. კოშელევი, მისი ამხანაგები — სპორტის ოსტატობის კანდიდატები ნ. სიდოროვი და ვ. გრიგორენკო, სპორტის ოსტატი ძალოსნობაში ლ. ივანკოვი და მოწინავე საამქროს სხვა სპორტსმენები.

დიახ, ამ საწარმოში ფიზკულტურის მასობრიობისა და პოპულარობის ზრდაში დიდ როლს თამაშობენ ენთუზიასტები. ქარხნის ახალგაზრდობა მტკიცედ ასრულებს დაპირებას, რომ ყველა კომკავშირელი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი უნდა გახდეს.

ხარკოვი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

# „ცუდი" მასპინძლები

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, დამთავრდა კალათბურთელთა ტურნირი. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ასპარეზობის პირველი წრე დაუმარცხებლად განვლეს მხოლოდ საქართველოს ჭაბუკებმა და გოგონებმა. ისინი მეორე წრეშიც უძლიერესნი იყვნენ, თუმცა გოგონათა გუნდს გაუჭირდა სომხეთის წარმომადგენლებთან განმეორებითი მატჩის მოგება. პირველი ნახევრის შემდეგ მასპინძლები წინ იყვნენ 8 ქულით, შესვენების შემდეგ კი სომხეთის კალათბურთელები შესამჩნევად გააქტიურდნენ. განსაკუთრებით ეფექტურად იბრძოდა ფარქევე და წარმატებით ამთავრებდა პარტნიორების იერიშს ერმაკი. სწორედ მისი წყალობით შემცირდა ანგარიშში სხვაობა: საქართველოს გუნდმა მოიგო შეხვედრა, მაგრამ ეს იყო ერთობ ძნელი გამარჯვება—63:61. ყველაზე მეტი ქულა (17) მასპინძელთა კოლექტივს კვინიკაძემ შესძინა, მაგრამ საუკეთესო სნაიპერი ამ მატჩში მაინც ერმაკი იყო — 20 ქულა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანის გოგონათა შეხვედრაც. მაგრამ ამჯერად მთელი სიმძაფრე მატჩის პირველი ნახევრის წილად მოდის: სტუმრებმა ტაიმი ქულით მოიგეს — 31:30. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა. კორობოვამ და გოგლიძემ ეფექტურად ჩაატარეს ბრძოლის დასკვნითი ნაწილი და გამარჯვება მოუტანეს თავიანთ კოლექტივს — 76:68. კორობოვამ ამ მატჩში 18 ქულა აიღო, გოგლიძემ კი 17. სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი იყო გუნდის კაპიტანი ლოგინოვა — 22 ქულა.

საქართველოს გოგონებმა ტურნირში I ადგილი დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდნენ სომხეთის კალათბურთელები, რომლებმაც მეორე წრის მატჩიც მოუგეს აზერბაიჯანის ნაკრებს, ამჯერად ანგარიშით 41:38 (21:22).

მასპინძლებმა გაცილებით იოლად მოიგეს ჭაბუკთა ასპარეზობა. პირველი წრის ორ ქულას მათ კიდევ ორი დამაჯერებელი გამარჯვება მიუმატეს სომხეთისა (84:53) და აზერბაიჯანის (87:55) კოლექტივებთან.

ფაქტიურად, II საპრიზო ადგილი სომხეთის გუნდმა დაიკავა, რომელმაც მძაფრი ბრძოლა მოუგო აზერბაიჯანელებს (74:69). მაგრამ, როგორც გამოირკვა, გამარჯვებულ კოლექტივში თამაშობდა სპორტსმენი, რომლის გვარი განაცხადში არ იყო შეტანილი. აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს შედეგი, მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა ამის თაობაზე და სავსებით სამართლიანად მოხსნა სომხეთის გუნდი ტურნირიდან. ასე რომ, II ადგილი აზერბაიჯანის ნაკრებს დარჩა.

ნ. ახვლედიანი.

# პლენუმმა იმსჯელა

გაიმართა კომკავშირის გარდაბნის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა „რაიონის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისა და მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში".

მოხსენება გააკეთა კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ბზეკალავამ.

პლენუმზე რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნუცუბიძემ ილაპარაკა რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე. მან აღნიშნა, რომ ვალდებულებით, წლეულს უნდა მომზადდეს 2188 ნიშნოსანი. უკვე მომზადებულია 1165. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნისა და სამგორის საშუალო სკოლის კოლექტივებმა.




კამათში მონაწილეობდნენ ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი ო. მიქელაშვილი, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის მეთოდისტი ა. წამალაშვილი, მუყაო-რუბეროიდის ქარხნის საამქროს უფროსი ბ. გვენცაძე, ლილოს რკინა-ბეტონის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ი. ჩხეიძე და სხვ.

პლენუმმა მიიღო დადგენილება.

ვ. ნუცუბიძე,
გარდაბნის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# ჩამორჩენის დასაძლევად

კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრებამ, რომელიც ამას წინათ ცხაკაიაში ჩატარდა, მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობაზე იმსჯელა. აქტივის კრებას ესწრებოდნენ საწარმო-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საშუალო და რვაწლიანი სკოლების კომკავშირის ორგანიზაციის მდივნები, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეები, ფიზაღზრდის მასწავლებლები, მეთოდისტები.

მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე შ. ჩიქობავა.

აქტივის მუშაობა შეაჯამა კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ცაგურიამ.

ითქვა, რომ რაიონის მთელ რიგ ორგანიზაციებში ნორმატივების ჩაბარება კარგად მიმდინარეობს. ამ მხრივ მოწინავენი არიან ძველი სენაკის, კოტიანეთის, გეჯეთის საბჭოთა მეურნეობების, ლეძაძამეს კოლმეურნეობის, ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ხალიჩების კომბინატის, მე-2, მე-3 და მე-4 საშუალო სკოლების კოლექტივები. მაგრამ არიან ჩამორჩენილნიც, რომელთა შორის პირველ ყოვლისა ნოქალაქევის საბჭოთა მეურნეობის, უშაფათის ორივე კოლმეურნეობის, საშენ მასალათა კომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის, სამკურნალო დაწესებულებების კოლექტივები უნდა დავასახელოთ.

აქტივმა დასახა ღონისძიება.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.),
ცხაკაია.

# ლიდერთა ორთაბრძოლა

სოციალისტური ქვეყნების მეგობრულ არმიათა ჩემპიონატის IV ტურის წინ შეჯიბრების ცხრილის სათავეში იყო სამი მონაწილე — საერთაშორისო ოსტატი მ. პოდგაეცი (ოდესა), ოსტატი ა. ოჟვატი (უნგრეთი) და ოსტატობის კანდიდატი ე. პრანდშტეტერი (ჩეხოსლოვაკია). ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას მათი პარტიები იქცევდა, მით უმეტეს, რომ ოჟვატი და პრანდშტეტერი ერთმანეთს ხვდებოდნენ.

ოჟვატმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, მეფის ფლანგზე უძლიერესი იერიში განავითარა. მან ხარისხის დროებითი შეწირვით გახსნა მნიშვნელოვანი ვერტიკალი, მერე მხედარი შესწირა და მეტოქის მეფეს შამათით ემუქრებოდა. პრანდშტეტერი დაიბნა და გამორჩა შამათი ერთ სვლაში, თუმცა მისი პოზიცია მაინც უიმედო იყო.

მესამე ლიდერი — პოდგაეცი ასევე თეთრებით უტევდა მეტოქის მეფის ფლანგს ე. ნოვაკთან (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში. ერთ მომენტში მან უსწორო გზა აირჩია და შედეგად ინიციატივა დაკარგა: ეტლი შავების ბანაკში დარჩა. ამან ნოვაკს ხარისხის მოგების საშუალება მისცა, მაგრამ შემდეგ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი უზუსტოდ თამაშობდა. ახლა გადადებულ პოზიციაში პოდგაეცს ნახევარი ქულის გადარჩენის შანსი აქვს.

უშედავათო იყო თანაქალაქელების — რიგელი ოსტატების ვ. ჟურავლიოვისა და ი. კლოვანის ორთაბრძოლა. შავების ეტლი ასევე მეტოქის ბანაკში მოექცა, კლოვანმა დაკარგა იგი და იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

ი. ადამსკიმ (პოლონეთი) ენერგიულად წარმართა იერიში რ. პოსტლერთან (გდრ) შეხვედრაში. გადამწყვეტ მომენტში გერმანელ ოსტატს გამორჩა მეტოქის ტაქტიკური დარტყმა, ეტლი დაკარგა და საათი გააჩერა.

თბილისელი ოსტატის ა. იზვოზჩიკოვისა და მოსკოველი დიდოსტატის ვ. ლიბერზონის შეხვედრაში ორივე მეტოქე გრძელ, ფორსირებულ ვარიანტს გაჰყვა. შედეგად თბილისელმა მხედარი მოიგო, მაგრამ მისი მეფე სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსკოველი მოჭადრაკის ლაზიერი თეთრების ბანაკში შეიჭრა და მუდმივი ქიში გამოაცხადა. იზვოზჩიკოვისთვის სახიფათო იყო სვლების გამეორებაზე უარის თქმა.

მეორე თბილისელმა — ე. უბილავამ უნგრელ ოსტატ ლ. ვადასსთან შეხვედრაში პაიკი დაკარგა. პარტია ეტლების ენდშპილში გადაიდო. ვადასს გამარჯვების შანსი აქვს. ა. ლოკასტო (პოლონეთი) — ლ. ცინის (გდრ) პარტია ლაზიერების ენდშპილში გადაიდო. გერმანელ ოსტატს უკეთესი მდგომარეობა აქვს.

4 ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა ა. ოჟვატი — 3,5 ქულა. მ. პოდგაეცს 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 2,5-2,5 ქულა დააგროვეს ვ. ჟურავლიოვმა და ე. პრანდშტეტერმა.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

ჭადრაკი

# გამარჯვება 112-ე სვლაზე

9:9 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა თბილისის მე-3 რესპუბლიკური (დირექტორი კ. გონაძე) და ვორონეჟის უმაღლესი სპორტული ოსტატობის (დირექტორი ვ. კორონევსკი) სკოლების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც 3-6 ოქტომბერს მიმდინარეობდა ვორონეჟის საჭადრაკო კლუბში.

თითოეულ გუნდში 9 წევრი შედიოდა: 6 ვაჟი, თითო ჭაბუკი, ქალიშვილი და გოგონა.

ჩვენი გუნდი ძლიერ და გამოცდილ მეტოქეს შეხვდა, რომელსაც საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში არაერთი გამარჯვება მოუპოვებია. გუნდის ორი მოთამაშე — ოსტატობის კანდიდატები ნ. ალიოხინა და ა. ბრაგინი რსფსრ-ს ნაკრების წევრები არიან.

მატჩის დასაწყისი მასპინძლების დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა და პირველი ტური მათ მოიგეს ანგარიშით 6:3.

მეორე სათამაშო დღე სრულიად განსხვავდებოდა პირველისგან. საკონტროლო დროის ამოწურვამდე ანგარიში 5:3 იყო ჩვენს სასარგებლოდ. უკანასკნელ პარტიაში მეტად დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ოსტატობის კანდიდატებს რ. დადიანსა (სოხუმი) და ა. ბრაგინს შორის. სპეციალისტებს ყაიმი გარდაუვალი ეგონათ, მაგრამ დადიანმა 104-ე სვლაზე ფილიდორის ცნობილი პოზიცია მიიღო (ეტლი და კუ ეტლის წინააღმდეგ), ხოლო 112-ე სვლაზე დამსახურებულად გაიმარჯვა.

მომდევნო ორ დაფაზე ოსტატობის კანდიდატებმა ლ. ნეურონოვმა (ბათუმი) და ე. ფხაკაძემ (ქუთაისი) გუნდს 2-2 ქულა მოუტანეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვორონეჟელმა ოსტატობის კანდიდატმა, საკავშირო პირველობათა მრავალგზის ფინალისტმა ნ. ალიოხინამ, რომელმაც ასევე 2 ქულა შესძინა თავის გუნდს.

უნდა აღინიშნოს ტურნირის კარგი ორგანიზაცია და მეგობრული ურთიერთობა მონაწილეთა შორის. ადგილობრივმა საოლქო გაზეთმა „კომუნამ" ვრცელი წერილი მიუძღვნა ამ ამხანაგურ შეხვედრას. ვორონეჟელ მოჭადრაკეთა გუნდი საპასუხო ვიზიტით ნოემბრისთვის ჩამოვა თბილისში.

რ. თავართქილაძე? 

# საქართველოს საზღვაო არე ოლიმპიური სარბიელისთვის

დღეს თითქმის აღარავის ეეჭვება, რომ 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველთა შორის გამარჯვება მოსკოვს დარჩება.

გეოგრაფიულად ოლიმპიური თამაშების პროგრამა მუდამ სცილდება ერთი ქალაქის საზღვრებს. საიალქნო სპორტში შეჯიბრებები მუდამ ღია ზღვაში ტარდება.

შავი ზღვის საქართველოს ნაპირი, ბიჭვინთის უბე ან ეშერის წინა არე (საზღვაო რეიდი) აფროსანთა ასპარეზობისთვის საუცხოო ადგილია. რჩეული სპეციალისტების ასეთი შეფასება დღეისთვის მხოლოდ ამ ორმა საზღვაო რაიონმა მიიღო.

იმის გამო, რომ ზუსტი მონაცემები მომავალი სასპარეზო დისტანციების შესახებ შედარებით ცოტა იყო, ოლიმპიური რბოლისთვის პირობების წინასწარი შესწავლა საქართველოს საიალქნო სპორტის ფედერაციამ ითავა.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებისა და მწვრთნელებისგან შედგენილმა ჯგუფმა აგვისტოში მოაწყო საკრეისერო ჩქაროსნული ნაოსნობა იალქნიანი ნავით „ამეთვისტო I". მარშრუტი ასეთი იყო: ფოთი — ოდესა — ფოთი.

სპორტული ნაოსნობის ბოლო ნაწილი ბიჭვინთისა და ეშერის საზღვაო რაიონების შესწავლას დაეთმო, შეგროვდა დიდძალი მასალა ოლიმპიური თამაშების პერიოდისთვის სავარაუდო ქარის ყველა მიმართულებაზე, რთულ საზღვაო ზედაპირულ დინებებზე, ტალღის ნიშნულებზე, სანაპირო კომუნიკაციის საშუალებებზე და სხვ.

ნაოსნობის სპორტული მხარე კარგი მაჩვენებლებით დამთავრდა: ნავმა „ამეთვისტო-I" 1300-მილიანი მარშრუტი ფოთი — ოდესა — ტუაფსე მაღალი სიჩქარით განვლო — ამ მანძილის დაფარვას 12 დღე-ღამე და 2 საათი მოანდომა.

იალქნიანი ნავის ეკიპაჟს დიდხანს ემახსოვრება სპორტული გადასვლა. ქერჩ—ანაპის ღია ზღვის რაიონი „ამეთვისტო-I" უაღრესად ხელსაყრელი კურსით გაიარა. საკმაოდ მძიმე საკრეისერო ნავმა თითქმის აიწყვიტა: საოკეანო „სიორფინგის" მსგავსად ექვსბალიანი ტალღის ფერდებზე ისე მიჰქროდა, რომ ამ მონაკვეთზე „მფრინავი ჰოლანდიელის" სიჩქარესა და მანევრირებას მიაღწია. 130 მილი 12 საათში დავფარეთ. შემდეგ ნაოსნობის პირობები ნოვოროსიისკის „ბორას" საზაფხულო სიძლიერის ქარმა შეცვალა. ეკიპაჟის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ღირსეულად გაართვა თავი რთულ საზღვაო პირობებში სანაოსნო ამოცანებს და ძნელი გზა კარგი საკლასიფიკაციო მიღწევებით დაასრულა.

„ამეთვისტო-I" ეკიპაჟის შემადგენლობა ასეთი იყო: გ. შაქიაშვილი — კაპიტანი (ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი), ა. მიქელაძე, გ. ნასარიძე და გ. ბიგანიშვილი.

გ. შაქიაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ფოთი.

# ავტომობილები „ინკების გზაზე"

2695 კილომეტრზეა გაჭიმული, უფსკრულების თავზე დაკიდებული უცნაურად მიიზლაზნება, თოვლიანი ზვავების საზღვარს მისდევს „ინკების გზა". გზის დიდი ნაწილი ანდის მთებში გადის და უძნელესად ითვლება. ყველა როდი გაბედავს მანქანით გავლას ამ გზაზე, რომელიც ასეული წლების წინ ლეგენდარულმა ინდიელებმა გაიყვანეს.

ამ ცოტა ხნის წინ ორმოცი მანქანა ჩაება რალიში, რომელსაც პირდაპირ ასე დაარქვეს: „ინკების გზა". მთელი კვირის მანძილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ვაჟკაცები, გვიჩვენებდნენ ცოდნას, გამოცდილებას და ნებისყოფას. მხოლოდ ცხრამეტმა მათგანმა აიცილა თავიდან ავარია და მანქანა ფინიშამდე მიიყვანა. გაიმარჯვა პერუელმა ტეოდორო იანგალიმ, რომელიც მთელი რბოლის მანძილზე აბსოლუტური ლიდერი იყო. გამარჯვებულის აზრით, ამ უძნელეს შეჯიბრებაში წარმატების საფუძველი იყო მისი ძირითადი პროფესია (იგი ავტობუსის შოფრად მუშაობს და მთის რაიონის მცხოვრებლები დაჰყავს).

დისტანციის უკანასკნელი ნაწილი — 988-კილომეტრიანი ტრასა — იანგალიმ 6 საათში, 1 წუთსა და 25 წამში გაიარა, რითაც რალის ამ ეტაპის რეკორდი დაამყარა. ტრასის მთელს 2695 კილომეტრზე გამარჯვებულმა 27 საათი, 29 წუთი და 40 წამი დახარჯა.

ნ. ლოპატენკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუნდიდან გუნდში ფეხბურთელთა გადასვლის წესის შესახებ

ერთ-ერთ მთავარ საბუთს, რომელიც არეგულირებს საფეხბურთო კლუბების დაკომპლექტების საკითხებს, წარმოადგენს ინსტრუქცია „ფეხბურთის ოსტატთა გუნდების მოთამაშეების ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ“.

ბოლო ხანებამდე არსებულმა ინსტრუქციამ (1970 წლის 31 აგვისტოსი) გარკვეული როლი ითამაშა კლუბიდან კლუბში ფეხბურთელთა გადასვლის საკითხის მოწესრიგებაში, მაგრამ იგი არ იყო მოკლებული ნაკლოვანებებსაც, რისთვისაც სამართლიანი კრიტიკის ობიექტად იქცა. მთავარი კი ისაა, რომ ძველი ინსტრუქცია ხელს არ უწყობდა გუნდების დაკომპლექტებას მოსამზადებელი ჯგუფებისა და ადგილობრივი ფიზკულტურული კოლექტივების აღსაზრდელებით.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გაითვალისწინა ფეხბურთის სპეციალისტთა და მოყვარულთა მრავალრიცხოვანი შენიშვნები და შეიმუშავა ახალი ინსტრუქცია. მან გზა უნდა გადაუკეტოს ფეხბურთში იოლი ცხოვრების მოყვარულთ, რომლებიც გუნდიდან გუნდში მომთაბარეობენ, არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან წვრთნას, რის გამოც მათი ოსტატობა ქვეითდება და ახლა თავიანთი „ნიჭის“ გამოყენებას დაბალი ლიგების კლუბებში ცდილობენ.

ახალი ინსტრუქციის პუნქტები ხელს შეუწყობს ფეხბურთელთა ხარისხიან მზადებას თავიანთ კოლექტივებში, აიძულებს მწვრთნელებს მეტი ყურადღება დაუთმონ მოსამზადებელ ჯგუფებსა და დუბლიორთა შემადგენლობებს.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა 5 ოქტომბერს დაამტკიცა ინსტრუქცია „ფეხბურთის ოსტატთა გუნდების მოთამაშეების ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ“.

## ინსტრუქცია

### ფეხბურთის ოსტატთა გუნდების მოთამაშეების ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ

1. ფეხბურთის ოსტატთა გუნდების მოთამაშეების გადასვლა კოლექტივიდან კოლექტივში ნებადართულია ფეხბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლების მიზნით და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ინტერესებით.

გადასვლისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბჭოთა მორალის პრინციპების დაცვა. დაუშვებელია გადასვლა, როცა სპორტული ორგანიზაციები მოთამაშეთა მოჭზადებას მათს გადაბირებას ამჯობინებენ.

2. მოთამაშეთა გადასვლა ნებადართულია მხოლოდ დაბალი ლიგების გუნდებიდან მაღალი ლიგების კოლექტივებში. მოთამაშეთა გადასვლა ერთი და იგივე ლიგების ფარგლებში ან მაღალი ლიგიდან დაბალ ლიგებში აკრძალულია.

გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა მოთამაშე ჩაირიცხება არმიულ გუნდში და ეს დაკავშირებულია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მორიგ გაწვევასთან.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებში ვერ გამოიყენეს დაბალი ლიგების გუნდებიდან გადაყვანილი მოთამაშეები, მათ ნება ეძლევათ დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს მოცემული სეზონის პერიოდში ან შემდგომ წელს. ასეთივე უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დემობილიზებულნიც.

3. უმაღლესი და პირველი ლიგების ერთ გუნდში ყოველწლიურად შეიძლება მიღებული იქნეს დაბალი ლიგების არაუმეტეს სამი მოთამაშე. მეორე ლიგის გუნდების დაკომპლექტება ხდება მხოლოდ-დამხოლოდ მოცემული ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის სპორტულ კოლექტივებში აღზრდილი ფეხბურთელებით.

4. I და II ლიგების ერთი გუნდიდან მეორეში ყოველწლიურად შეიძლება არაუმეტეს სამი მოთამაშის გადაყვანა.

5. გადასვლის უფლება არა აქვთ:

ა) სსრ კავშირის სპორტკომიტეტის, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ან მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტკომიტეტების მიერ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამდე;

ბ) ფეხბურთელებს, რომლებიც გარიცხული არიან ოსტატთა გუნდებიდან დისციპლინისა და სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის;

გ) ფეხბურთელებს, რომლებიც დაარღვევენ გადასვლის არსებულ წესს.

6. ფეხბურთელებს, რომლებსაც სურვილი აქვთ გადავიდნენ სხვა გუნდებში, შეაქვთ განცხადება გადასვლის თაობაზე იმ გუნდის ხელმძღვანელობასთან, რომელშიც ისინი გამოდიოდნენ, ხოლო განცხადების ასლს (ორ ცალად) ერთდროულად აგზავნიან სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში. განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს ყოველი წლის 5-დან 30 ნოემბრამდე. სხვა ვადებში შეტანილი განცხადებები საერთოდ არ განიხილება.

7. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო ფეხბურთელის განცხადებას სხვა გუნდში გადასვლის თაობაზე ხუთდღიან ვადაში უგზავნის განსახილველად:

ა) რესპუბლიკურ სპორტკომიტეტებს, როცა მოთამაშე გუნდიდან გუნდში გადადის მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში;

ბ) პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოსა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტს, როცა მოთამაშეთა გადასვლა ხდება სპორტსაზოგადოების ან უწყების ერთი გუნდიდან მეორეში იმავე სპორტსაზოგადოების ან უწყების სხვა გუნდში, რომელიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკაშია;

გ) სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში — ყველა სხვა შემთხვევაში.

8. ორგანოები, რომლებიც განიხილავენ განცხადებებს მოთამაშეთა გადასვლაზე ერთი გუნდიდან მეორეში სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში, აუცილებლად შეეკითხებიან იმ მოკავშირე რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას, საიდანაც ფეხბურთელი გადადის.

რესპუბლიკური სპორტკომიტეტები, პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭო, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭო, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტი, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელთა განცხადებას განიხილავენ 20 დეკემბრამდე და შესაბამის მასალებს აგზავნიან სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

9. მოთამაშის გაფორმება გუნდში ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო დაამტკიცებს გადასვლას.

10. გუნდების დაკომპლექტების არასწორი მეთოდებისა და მოთამაშეთა გადაბირებისთვის გუნდების უფროსები და მწვრთნელები პასუხს აგებენ დისციპლინარული წესით, ხოლო გადასვლის არსებული წესის დამრღვევი ფეხბურთელი უფლებას კარგავს გადავიდეს სხვა ორგანიზაციაში და ლებულობს დისციპლინარულ სასჯელს დისკვალიფიკაციამდეც კი.

## 0:0

16 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მიიღეს ერევნის „არარატი“.

თამაში უინტერესო გამოდგა და დამთავრდა ფრედ — 0:0.

● ●

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 25 | 14 | 7 | 4 | 45—23 | 35 |
| ცსკა | 27 | 14 | 3 | 10 | 33—29 | 31 |
| „არარატი“ | 26 | 11 | 8 | 7 | 35—25 | 30 |
| „დნეპრი“ | 26 | 10 | 10 | 6 | 33—32 | 30 |
| „დინ.“ თბ.) | 25 | 10 | 9 | 6 | 33—29 | 29 |
| „დინ.“ (მნ.) | 26 | 9 | 10 | 7 | 26—23 | 28 |
| „ტორპ.“ | 26 | 10 | 8 | 8 | 28—29 | 28 |
| „ზენიტი“ | 27 | 8 | 11 | 8 | 32—28 | 27 |
| „დინ.“ (კ.) | 24 | 9 | 8 | 7 | 35—28 | 26 |
| „დინ.“ (მ.) | 25 | 11 | 4 | 10 | 34—29 | 26 |
| ასკ | 26 | 7 | 9 | 10 | 28—31 | 23 |
| „სპარტაკი“ | 24 | 8 | 6 | 10 | 26—24 | 22 |
| „ყაირათი“ | 26 | 5 | 12 | 9 | 19—24 | 22 |
| „კარპატი“ | 26 | 7 | 7 | 12 | 22—37 | 21 |
| „ლოკომოტ.“ | 27 | 4 | 9 | 14 | 25—41 | 17 |
| „ნეფთჩი“ | 26 | 5 | 7 | 14 | 23—45 | 17 |

სსრკ 50

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

# „დინამო“ — 62,5 ქულა



იუნიორ მოკრივეთა შეჯიბრებაში (ქუთაისი) რესპუბლიკის ექვსი სპორტსაზოგადოების კოლექტივები ჩაებნენ. რომელ საზოგადოებაში როგორ ზრუნავენ ამ სახეობის განვითარებისთვის, ამას გუნდური ტურნირის შედეგების გაცნობა დაგვანახვებს.

ასპარეზობაში ყველას აჯობეს დინამოელებმა, რომლებმაც 62,5 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა „ბურევესტნიკი“ — 36,5, III — „სპარტაკი“ — 30,5. „შრომითი რეზერვების“ კოლექტივმა 27,5 ქულა დააგროვა, „ლოკომოტივის“ ნაკრებმა — 24,5. „განთიადის“ იუნიორები 20,5 ქულასა და ბოლო ადგილს დასჯერდნენ. ვფიქრობთ, გუნდურ ტურნირზე სხვა კომენტარები ზედმეტია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოგიერთ საზოგადოებას სპორტსმენი ყველა წონით კატეგორიაში არ გამოუყვანია, ამიტომაც პირველ ორ წონაში (48 და 51 კგ) გამარჯვებისთვის სამ-სამი მონაწილე იბრძოდა, ბოლო ხუთ წონაში კი ხუთ-ხუთი.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა — ვინც წააგებდა, სპარტაკიადას ეთიშებოდა. სწორედ მონაწილეთა სიმცირემ გამოიწვია, რომ, როგორც 48, ისე 51 კგ-მდე წონის მოკრივეთა შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა თ. ლორთქიფანიძემ („ბურევესტნიკი“) და ზ. ქურციკიძემ („ლოკომოტივი“) მხოლოდ თითო მატჩი გამართეს: პირველმა ხ. უიანოვთან („შრომითი რეზერვები“), რომელმაც მანამდე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა (3:2) დინამოელი თ. ბდოიანი, ხოლო ქურციკიძემ ვ. კორნიენკოსთან („დინამო“), რომელმაც ფინალში მონაწილეობის უფლება სპარტაკელ ე. მარქაროვთან გამარჯვებით მოიპოვა.

ლორთქიფანიძესაც და ქურციკიძესაც ფინალში ხუთივე მსაჯმა ერთხმად მიანიჭა უპირატესობა.

მესამე წონაში (54 კგ-მდე) ზონაწილე ყველა კოლექტივმა გამოიყვანა. ფინალამდე დინამოელმა ა. ტოპალევმა ჯერ აშკარა უპირატესობით დაამარცხა რკინიგზელი მ. მამინაშვილი, მერე, ნახევარფინალში ს. პეტროსიანს („შრომითი რეზერვები“) მოუგო და ბოლოს ფინალში ქულებით ი. ხაჩატურიანი („სპარტაკი“) დაამარცხა. ტოპალევს უპირატესობა ხუთიდან სამმა მსაჯმა მიაკუთვნა და დინამოელი ჩემპიონი გახდა.

57 კგ-მდე წონით კატეგორიაში თბილისის დინამოელმა მ. მირზოიანმა ფინალში დაამარცხა ვ. ვანიკოვიჩი („შრომითი რეზერვები“).

60 კგ-მდე წონაში საინტერესო ბრძოლა გაახალეს ზ. დავიდოვმა („დინამო“) და ზ. ჩხოლარიამ („ბურევესტნიკი“). ჩხოლარია უფრო აქტიურობდა, მაგრამ წარბი გაუსკდა, ექიმმა ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცა და I ადგილი დავიდოვს დარჩა.

შემდეგ წონითს კატეგორიაში სპარტაკელი ა. ჯავახიშვილის ავადმყოფობის გამო ფინალური ბრძოლა არ გამართულა. სპარტაკიადაში პირველობა ს. აბრამიანს („დინამო“) მიეკუთვნა. არადა, სწორედ ჯავახიშვილს გადაეცა ტურნირის ერთ-ერთი სპეციალური პრიზი — „გამარჯვების ნებისყოფისთვის“, რაც მან წინა შეხვედრებში გამოავლინა. ასეთივე ბედი ეწია მეორე დინამოელს გ. რევაზოვს („დინამო“), რომელსაც სპარტაკელი ა. ლეგონკოვის გამოუცხადებლობისთვის (ავადმყოფობის გამო) I ადგილი უბრძოლველად მიეკუთვნა.

ბოლო ოთხ წონაში გამარჯვება მოიპოვეს: ქუთაისის დინამოელმა პ. ყანჩელმა (მის მეტოქეს — განთიადელ ჟ. სპირიდონოვს წარბი გაუსკდა), სტუდენტთა გუნდის წევრმა ზ. პელიძემ (ფინალში დაამარცხა დინამოელი ნ. კარხელაური), ბურევესტნიკელმა ა. გამყრელიძემ, რომელმაც აშკარა უპირატესობით სძლია ა. მუსოიანს („სპარტაკი“) და დ. ჭურღულიამ („დინამო“), მან ასევე აშკარა უპირატესობით მოუგო ს. კუძიევს („განთიადი“). ჭურღულიამ მიიღო ცნობილი ქუთაისელი მოკრივის ფ. ლომიძის სახელობის სპეციალური პრიზი.

მსაჯთა კოლეგიამ განსაკუთრებით პერსპექტიულ მოკრივეებად დაასახელა ი. თოთლაძე, გ. რევაზოვი და მ. სანთელაძე, ხოლო ყველაზე კორექტულ მოკრივედ ყანჩელი აღიარეს.

რ. მაღრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

• • •



სურათებზე: სპარტაკიადის ჩემპიონი — „დინამოს“ გუნდი; ფ. ლომიძის სახელობის პრიზის მფლობელი დ. ჭურღულია.

გ. იაშვილის ფოტოები.



▲ ჰელსინკი. ფინეთის მთავრობამ სპორტში თვალსაჩინო დამსახურებისთვის სახელმწიფო პენსია დაუნიშნა გამოჩენილ ოლიმპიელებს ვ. რიტოლასა და ჰ. კოლემაინენს. კოლემაინენმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა 1912 წელს 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, 1920 წელს კი მარათონში. რიტოლამ 1924 წლის ოლიმპიადაში 10000 მეტრზე რბენასა და 3000 მეტრზე წინაღობებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა, 1928 წელს კი 5000 მეტრზე რბენაში გახდა ჩემპიონი.

▲ ბერლინი. გდრ-ის სპორტსმენებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს, რასაც ბავშვთა და მოზარდთა სპორტის მაღალი დონე განაპირობებს. თუ 1965 წელს ქვეყნის ბავშვთა სპარტაკიადის ყველა ეტაპზე 1700000 მონაწილე გამოდიოდა, 1967 წელს ეს ციფრი 2303000-მდე გაიზარდა, 1969 წელს 2696000-ს მიაღწია, შარშან კი სპარტაკიადაში 3300000 ბავშვი ჩაება.

▲ როჟნოვი. ჩეხოსლოვაკიის ამ პატარა ქალაქის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე „მფრინავ მოთხილამურეთა" წლევანდელი სეზონის პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში 100 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველას აჯობა იუგოსლაველმა ს. სტეფანოვიჩმა, რომელიც 69,5 და 66 მეტრზე გადახტა და 221,7 ქულა მოაგროვა. გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი, მასპინძელი ი. რაშკა II ადგილზეა — 217,2 ქულა.

▲ ზაკოპანე. პოლონეთის ამ მთიან რაიონში ნახევარ მეტრზე მეტი თოვლია. მოთხილამურეებმა ამით ისარგებლეს და პირველი შეჯიბრებაც გამართეს. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენა ე. ტშებუნიამ მოიგო — 19.37,0.

▲ პარიზი. საფრანგეთის სამთომოთხილამურეთა ნაკრებმა, რომელმაც მსოფლიო თასის შარშანდელ გათამაშებაში ბრწყინვალედ იასპარეზა, დიდი დანაკლისი განიცადა: გუნდიდან წავიდნენ ფ. მაჩი, ფ. სტიორე, ა. ფამოზი და გ. პერია. ეროვნულ ფედერაციას აქტიური სპორტიდან წასვლის სურვილი ი. მირმაც შეატყობინა, მაგრამ მისი საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

▲ ვაშინგტონი. როგორც აშშ-ს სააგენტოები იუწყებიან, მომავალ უნივერსიადაში, რომლის მასპინძელიც გაისად აგვისტოში მოსკოვი იქნება, 800-ზე მეტი ამერიკელი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას. ისინი გამოვლენ მძლეოსნობაში, წყალბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ცურვაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში.

▲ ვარშავა. დამთავრდა პოლონეთის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. გუნდური პირველობა ვარშავის „სკრამ" მოიპოვა. რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენა: სტრაშინსკამ („სკრა") 100 მეტრზე თარჯრბენში 13,3 წამი აჩვენა, 110 მეტრზე თარჯრბენში მ. და დ. ვოძინსკებმა (ორივე — „ლეგია") ერთნაირ შედეგს (13,6) მიაღწიეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კომარმა („გვარდია") ბირთვი 20,29 მეტრზე ჰკრა.

▲ ბუდაპეშტი. ცურვაში ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედლების მფლობელი, უნგრელი ა. დიარმატი ცოლად გაჰყვა ერთადგილიანი ნავიდარებით რბოლაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს მ. ხეშს. ამრიგად, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ახლა ყველა ღირსების ოლიმპიური მედლები აქვთ.

# მედლები თბილისში დარიგდა

„ლელო" -უკვე იტყობინებოდა, რომ მოტოკროსში წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბოლო — IV და V ეტაპების მასპინძლობა რუსთავსა და თბილისს ხვდათ წილად. ჩვენი რესპუბლიკის ამ ქალაქების ტრასებზე 250 და 500 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით მოასპარეზენი უნდა გამოსულიყვნენ.

დებულების თანახმად, ჩემპიონი ის სპორტსმენი გახდებოდა, რომელიც ხუთი ეტაპიდან ოთხი საუკეთესო შედეგის ჯამში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებდა. სხვა ადგილებიც ამნაირად ნაწილდებოდა.

წინა სამი ეტაპი კიროვოგრადში (25 ივნისს), პოლტავასა (2 ივლისს) და ვენტსპილსში (30 ივლისს) მოეწყო. „500-ანებით" შეჯიბრებაში თავიდანვე კიეველი სპორტის ოსტატი გ. კრასნოშჩოკოვი (დოსააფი) დაწინაურდა. კიროვოგრადში მან ორივე ცდის ჯამში პირველობა მოიგო და 15 ქულა დაიმსახურა. იქ მაშინ II და III ადგილებზე კრასნოშჩოკოვის თანაქალაქელი არმიელი სპორტის ოსტატი ვ. ბიბიგლო (12 ქულა) და იჟევსკელი სპორტის ოსტატი ს. ნაბიულინი („ზენიტი") გავიდნენ. ნაბიულინმა 10 ქულა მიიღო.

მაგრამ პოლტავაში პოზიცია ვერც ბიბიგლომ შეინარჩუნა და ვერც ნაბიულინმა: აქ II ადგილზე მოსკოვის არმიელი სპორტის ოსტატი ნ. ეფიმოვი, ხოლო III ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ა. ბოჩკოვი (დოსააფი) გავიდნენ, პირველობა კი ისევ კრასნოშჩოკოვს ხვდა. მესამე ეტაპის წინ მას უკვე 30 ქულა ჰქონდა.

ლიდერს ვერც ვენტსპილსის ეტაპზე აჯობა ვინმემ. კრასნოშჩოკოვი აქაც ყველასთვის მიუწვდომელი გამოდგა: ეტაპი ისევ მოიგო და ქულათა მარაგს კიდევ 15 ქულა დაუმატა. სამაგიეროდ, ამჯერად II ადგილი ლენინგრადის არმიელს, სპორტის ოსტატ გ. კალინინს ხვდა, ხოლო III — რიგელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ა. ანჯერსს.

სულ სხვანაირად წარიმართა „250-ანებით" ბრძოლა. კიროვოგრადში ლენინგრადის არმიელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. მოისეევმა უმთავრესად კიეველ სპორტის ოსტატ ა. კიბირინთან (დოსააფი) ძნელი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. კიბირინი II ადგილზე გავიდა — მოისეევს 3 ქულით ჩამორჩა. კიროვოგრადში ყველასთვის მოულოდნელად III ადგილი მოსკოვის არმიელმა სპორტის ოსტატმა ვ. ხუდიაკოვმა დაისაკუთრა. მან უფრო გამოცდილ მოტოციკლისტებს — კიეველებს ლ. შინკარენკოს, ვ. კავინოვს, ვ. რიბალჩენკოს, ლენინგრადელ პ. რულიოვს აჯობა, მაგრამ, როგორც შემდგომ ეტაპებზე გამართულმა ტურნირებმა ცხადყო, ხუდიაკოვის ლიდერობას დიდი დღე არ ეწერა.

მართლაც, პოლტავის სტარტებმა პოზიციები მხოლოდ მოისეევს შეუნარჩუნა. მართალია, აქ გამარჯვება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კავინოვმა დაისაკუთრა, მაგრამ ლენინგრადელმა ოსტატმა II ადგილი მაინც დაიკავა და 27 ქულით ლიდერობას განაგრძობდა. რულიოვმა III ადგილზე გასვლით საგრძნობლად გააუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

მესამე ეტაპზე ბედმა ისევ მოისეევს გაუღიმა. მეორე იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შინკარენკო, მესამე — კიბირინი.

ამრიგად, რუსთავში, IV ეტაპის სტარტის წინ „500-ანებით" მოასპარეზეთა ლიდერს კრასნოშჩოკოვს ქულათა მაქსიმუმი (45) ჰქონდა, „250-ანებით" რბოლაში საუკეთესოს მოისეევს — 42. ასე რომ, მშვიდად დაძინების უფლება არც ერთს არ ჰქონდა, ვინაიდან ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯიც საკმარისი იყო რბოლიდან გამოთიშვისთვის.

კინაღამ მართლა ასე მოხდა: რუსთავში სამეულში ვერც კრასნოშჩოკოვი მოხვდა და ვერც მოისეევი, მაგრამ კრასნოშჩოკოვმა IV ადგილი მაინც დაიკავა. ამით მან 45 ქულას კიდევ 8 ქულა დაუმატა და 53 ქულით ჩემპიონი გახდა. მოისეევმა კი საქართველოს მეტალურგთა ქალაქში მხოლოდ 5 ქულა მოიხვეჭა და იქვე თბილისის სტარტისთვის სამზადისს შეუდგა.

გასულ კვირას თბილისში, დელისის მიდამოებში მოეწყო შეჯიბრება. V ეტაპის სტარტზე „500-ანებით" მოასპარეზეთა შორის კრასნოშჩოკოვი აღარ იყო: რუსთავში იგი დაშავდა და კიევში ქვეყნის ჩემპიონის სახელით გაემგზავრა, რათა შინ განიკურნოს და ჩეხოსლოვაკიაში საასპარეზოდ მოემზადოს (იქ ჩემპიონთა თასის გათამაშება მოეწყობა).

სხვებს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის უნდა ებრძოლათ. საამისოდ ყველაზე მეტი შანსი კიეველ ოსტატს მანდრიჩენკოს (29 ქულა), ბიბიგლოს (24), კალინინს, ეფიმოვსა და ბოჩკოვს (22-22) ჰქონდათ.

„250-ანებში" კი სამივე მედლის ბედი დელისის ტრასაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ბოლო ეტაპის სტარტზე ლიდერები ასეთი ნადავლით მოვიდნენ: მოისეევი — 47 ქულა, კავინოვი — 42, შინკარენკო — 28, ხუდიაკოვი — 24, რულიოვი — 23.

თუ საეტაპო ქულათა არითმეტიკას მოვიშველიებთ, ცხადი გახდება, რომ ამ კლასშიც ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მოისეევთან მეტოქეობის ძალა მხოლოდ კავინოვს შესწევდა. სამაგიეროდ, შინკარენკოს შეეძლო კავინოვის, ხუდიაკოვსა და რულიოვს კი შინკარენკოს ჩამოტოვება.

ერთი სიტყვით, დაძაბული ბრძოლისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა და ვარაუდიც გამართლდა. თავდაპირველად დელისში სტარტი (ფორმულა იგივე იყო, რაც სხვა ეტაპებზე — ორივე კლასისთვის 2-2 ცდა, თითო ცდაზე 35 წუთი პლუს 2 წრე) „250-ანებს" მიეცა. ფავორიტები თავიდანვე დაწინაურდნენ. ყველაზე წინ შინკარენკო გაიჭრა, მაგრამ ეტაპზე ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა — ჯერ მოისეევმა გაუსწრო, მერე რულიოვმა, ამ ცდაც ამ თანმიმდევრობით დაამთავრეს.

მეორე ცდაზე (შუალედში „500-ანების" პირველი რბოლა მოეწყო) მოისეევს მოწინავე პოზიციები აღარ დაუთმია, ეტაპი მოიგო და ხუთი ეტაპის ჯამში 62 ქულა დაუგროვდა. მაგრამ დებულებით ადგილები ოთხი საუკეთესო ეტაპის შედეგების მიხედვით ნაწილდებოდა, ამიტომაც მოისეევს რუსთავში მოპოვებული 5 ქულა მოეხსნა და 57 ქულით სსრ კავშირის ჩემპიონობა დარჩა. მას 3 ქულით ჩამორჩა კავინოვი. ბრინჯაოს მედალი შინკარენკოს ხვდა — 38 ქულა.

რაც შეეხება „500-ანებით" რბოლას, აქ მანდრიჩენკოს ხელი მოეცარა. პირველ ცდაში მან შუა დისტანციის მერე ხელთ იგდო ლიდერობა, მაგრამ, როცა ფინიშამდე ორი წრე იყო დარჩენილი, მანქანა დაუზიანდა და რბოლა მეჩვიდმეტემ დაამთავრა. მართალია, იგი მეორე ცდის სტარტზეც გამოვიდა და წარმატებითაც იასპარეზა — ფინიშთან პირველი მიიჭრა, მაგრამ მეტოქეებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. როცა მსაჯთა კოლეგიამ შედეგები დაითვალა, ვერცხლის მედლის პირველი პრეტენდენტი მანდრიჩენკო საერთოდ უმედლოდ დარჩა. თბილისის ეტაპი 20 წლის ბოჩკოვმა მოიგო, საბოლოოდ მას 34 ქულა დაუგროვდა და ვერცხლის მედალიც დაისაკუთრა. ბრინჯაოს პრიზიორი ეფიმოვი ბოჩკოვს 2 ქულით ჩამორჩა.

საქართველოს სპორტსმენები ჩემპიონატში სუსტად გამოვიდნენ. V ეტაპის წინ „500-ანებით" შეჯიბრებაში სპორტის ოსტატმა ბ. კლდიაშვილმა (დოსააფი) მხოლოდ II ეტაპზე (პოლტავაში) შეძლო ჩათვლის მიღება (2 ქულა დაიმსახურა) და ცუდი ბალანსის გამო ასპარეზობა აღარ გააგრძელა. „250-ანებით" ტურნირში სპორტის ოსტატობის კანდიდატს ა. ნაგაიცევს (ასკ) 6 ქულა ჰქონდა, სპორტის ოსტატ გ. მანუკიანს (დოსააფი) კი 4.

ჩემპიონატი დამთავრდა. მედლები და პრიზები სპორტსმენებმა იქვე, დელისში მიიღეს.

ო. ბელაშვილი.

* * *

სურათებზე: სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორები ნ. ეფიმოვი (მარცხნივ) და ლ. შინკარენკო ასპარეზობისას.

ავტორის ფოტოები.





რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

20 ოქტომბერს 19 საათზე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) შედგება ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის წევრთა გაფართოებული სხდომა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. საქალაქო შეჯიბრებათა მიმდინარეობა.
2. მსაჯთა ატესტაცია.

ქალაქის მსაჯთა კოლეგიის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ.

# სარეკორდო ნორმატივები

უკვე ვიტყობინებოდით, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა 1 ოქტომბრიდან ამ სახეობის ათლეტთა შეჯიბრების პროგრამიდან ამოიღოს აჭიმვა. ამის საფუძველზე სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომელიც ყველა რესპუბლიკის, ოლქის, მხარის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, უწყებებს, მწვრთნელთა საბჭოებს დაეგზავნა.

ძალოსნობის მწვრთნელთა საკავშირო საბჭომ პროგრამიდან აჭიმვის ამოღებასთან დაკავშირებით შეიმუშავა და დაამტკიცა სსრ კავშირის რეკორდების სარეგისტრაციო ნორმატივები ორჭიდში უფროსებისა და იუნიორებისთვის.

რისგან შედგება ეს ნორმატივები? ატაცსა და აკვრაში ჯამდება საკავშირო რეკორდები: უფროსებისთვის მიღებულ ჯამს ჩამოსცილდება 2,5 კგ, იუნიორებისთვის — 5 კგ. ორჭიდში პირველ რეკორდსმენად ის გამოცხადდება, ვინც ქვემოთ მოყვანილ საწყის ნორმატივს, სულ ცოტა, 2,5 კილოგრამით გადააჭარბებს.

| წონითი კატეგორია | უფროსთა რეკორდების საწყისი ნორმატივები | იუნიორთა რეკორდების საწყისი ნორმატივები |
|---|---|---|
| 52 | (100+180)=280 კგ | 202,5 |
| 56 | (107,5+145)=252,5 | 225 |
| 60 | (120+155) 275 | 242,5 |
| 67,5 | (135+175)=310 | 267,5 |
| 75 | (142 5+185)=327,5 | 295 |
| 82,5 | (155+197,5)=352,5 | 305 |
| 90 | (165+210)=375 | 332,5 |
| 110 | (175+220)=395 | 340 |
| 110 ზევით | (180+235)=415 | 345 |

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲭᲘᲛᲕᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ.



საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და სახანძრო-გამოყენებითი სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია 20-22 ოქტომბერს რუსთავში ატარებენ რესპუბლიკის ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ნაკრები გუნდების პირად-გუნდურ შეჯიბრებას სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, ჭიათურისა და ახალციხის, მახარაძის, ზესტაფონის, გორის, თელავის, ზუგდიდის რაიონების ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ნაკრები გუნდები.

მაყურებელი ნახავს საცეცხლე კიბით სასწავლო კოშკის მეორე სართულზე ასვლას (15-16 წლის მოზარდები), საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლას (17-18 წლის ჭაბუკები), დაბრკოლებათა 80-მეტრიანი ზოლის გადალახვას (15-16 წლის მოზარდები), დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვას (17-18 წლის ჭაბუკები), სახანძრო ესტაფეტას 5×80 მეტრზე ადვილად წვადი სითხის ქრობით, საბრძოლო გაშლას „8-600" — მოტოპომპიდან წყლის მიწოდებით.

შეჯიბრება ტარდება რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე და რუსთავის № 46 სახანძრო ნაწილის სპორტულ მოედანზე (გაგარინის ქ. № 2).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04674